http://football.mojgorod.ru/cgi-bin/rus/userreport.cgi?mid=19&yid=v1937

დაამატა: **ერლან მანაშევმა**

“ლოკომოტივი” (მოსკოვი) - “დინამო” (თბილისი) - 3:2 (1:1)

7 სექტემბერი. მოსკოვი. სტადიონი “ლოკომოტივი”. 20 000 მაყურებელი.

მსაჯი: პ. კუზნეცოვი (მოსკოვი).

გოლები: 0-1 პაიჭაძე (3), 1-1 ტერენკოვი (44), 2-1 ტერენკოვი (64), 3-1 ანდრიასოვი (68), 3-2 მ. ბერძენიშვილი (85).

“ლოკომოტივი”(მოსკოვი): გრანატკინი, ანდრეევი, გვოზდკოვი, სტრელკოვი, ჟუკოვი, მოშკარკინი (ილინი), სერდიუკოვი, ანდრიასოვი, სოკოლოვი, ვავილოვი, ტერენკოვი.

თბილისის “დინამო”: ა. დოროხოვი, შ. შავგულიძე (გუნდის კაპიტანი), ჭუმბურიძე, ვ. ჯორბენაძე, მ. მინაევი, კიკნაძე, თ. გავაშელი, მ. ბერძენიშვილი, ბ. პაიჭაძე, ასლამაზოვი, აფრიდონიძე.

“დინამოს” მესამე დამარცხება

მოსკოვი, 7 სექტემბერი (ჩვენი საკ. კორ.). დღეს “ლოკომოტივის” სტადიონზე შესდგა თბილისის “დინამოს” ფეხბურთელთა შეხვედრა “ლოკომოტივის” გუნდთან. პირველი ტაიმის მესამე წუთზე თბილისელებმა გაიტანეს პირველი ბურთი. მთელი ტაიმის განმავლობაში თბილისელები აწვებოდნენ “ლოკომოტივის” კარს. “ლოკომოტიველებმა” საპასუხო ბურთი მხოლოდ ტაიმის ბოლოს გაიტანეს. მეორე ტაიმში სურათი მკვეთრად შეიცვალა. “ლოკომოტივმა” ენერგიული შეტევა განავითარა და ორი ბურთი გაიტანა. “დინამოელებმა” მხოლოდ ტაიმის დასასრულის წინ მოახერხეს ერთი ბურთის გაქვითება. მატჩი დამთავრდა ანგარიშით 3:2 “ლოკომოტივის” სასარგებლოდ.

უნდა აღინიშნოს თამაშის მძიმე პირობები _ მოსკოვში მთელ დღეს ძლიერი წვიმა იყო.

“კომუნისტი”, 9 სექტემბერი, 1937 წ.